დამტკიცებულია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2019 წლის 05
ივლისის N01/23 ბრძანებით

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტი (შემდგომში – კაბინეტი) არის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ფუნქციაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა.

2. კაბინეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით, ამ დებულებითა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სხვა აქტებით.

თავი II
კაბინეტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 2

1. კაბინეტის ძირითადი ამოცანებია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, ანალიტიკური და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება.

2. კაბინეტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის უმაღლესი საბჭოს შენობაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;

ბ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებების, საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადება;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დღის წესრიგის დაგეგმვა, თათბირების, შეხვედრებისა და მიღებების ორგანიზება;

დ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი, საინფორმაციო და

ანალიტიკური უზრუნველყოფა;

ე) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარების ანალიზი;

ვ) პრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გაშუქებული მასალების ანალიზი, მასმედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;

ზ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;

თ) უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოსული და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელით გასული კორესპონდენციის მიღება და აღრიცხვა;

ი) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულების კონტროლი.

თავი III
კაბინეტის ხელმძღვანელობა და პერსონალი

მუხლი 3

1. კაბინეტს ხელმძღვანელობს კაბინეტის უფროსი.

2. კაბინეტის უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს კაბინეტის მუშაობას და პასუხს აგებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის;

ბ) ხელს აწერს კაბინეტის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

გ) უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დღის წესრიგის დაგეგმვასა და განხორციელებას;

დ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას აქტუალურ საკითხებზე;

ე) ორგანიზებას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თათბირებს, ოფიციალურ შეხვედრებსა და მიღებას;

ვ) იხილავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულ კორესპონდენციას, ანაწილებს დანიშნულებისამებრ და თვალყურს ადევნებს მისი შესრულების კონტროლს;

ზ) უფლებამოსილია კაბინეტის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს წარუდგენს თანამშრომელთა კანდიდატურებს მათი წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების მიზნით;

ი) ასრულებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;

კ) აგვარებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობის შეუფერხებელ

განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ საკითხებს;

ლ) აკონტროლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულებას;

მ) ახორციელებს მისთვის კანონმდებლობითა და ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კაბინეტის უფროსი ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 4

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში შედიან:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწეები:

ა.ა) იურიდიულ საკითხებში;

ა. ბ) კონფლიქტის რეგიონში ადამიანის უფლებათა საკითხებში;

ა.გ) საორგანიზაციო საკითხებში.

ბ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მდივან-რეფერენტი.

2. იურიდიულ საკითხებში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწის ძირითადი ფუნქციებია:

ა) კანონპროექტების მონიტორინგი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის შენიშვნა-რეკომენდაციების წარდგენა;

ბ) კანონპროექტებთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებებსა და შენიშვნებზე ოპერატიული რეაგირება;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა მართლზომიერების შეფასება; სხვა თანაშემწეთა მიერ მომზადებული დოკუმენტების ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის მონიტორინგი;

დ) თავისი კომპეტენციის სფეროში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ოპერატიული ინფორმირება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე, მათზე თავმჯდომარის რეაგირების (მათ შორის, რა ფორმითა და შინაარსით) რეკომენდაციების მომზადება;

ე) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

3. კონფლიქტის რეგიონში ადამიანის უფლებათა საკითხებში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწის ძირითადი ფუნქციებია:

ა) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება;

ბ) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ვითარების შესწავლა და ანალიზი, ამ საკითხზე მოხსენებების და დასკვნების მომზადება;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

4. საორგანიზაციო საკითხებში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების შესრულების კონტროლი;

ბ) გასული კორესპონდენციის (წერილების, განცხადებებისა და პეტიციების) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განხილვის ზედამხედველობა და კონტროლი;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;

დ) განსაკუთრებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;

ე) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

5. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის მდივან-რეფერენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) მოქალაქეთა მიღება, მათი წერილების, განცხადებებისა და პეტიციების განხილვა და დანიშნულებისამებრ გადაცემა;

ბ) უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოსული კორესპონდენციის მიღება, დახარისხება, დანიშნულებისამებრ გადაცემა და გაგზავნა;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

6. კაბინეტის საშტატო ნუსხას უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 5

1. კაბინეტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო კაბინეტის სხვა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს კაბინეტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.

2. კაბინეტის უფროსი არის უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამდებობის პირი.

3. კაბინეტის საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით და შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 6

1. კაბინეტის დებულებას უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2. კაბინეტის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.